ხელშეკრულება N141
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 25 ივნისი 2018 წ.

ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი იურისტის **გიორგი წაქაძის** სახით და მეორე შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი ს/კოდი 404945164 (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **ლაშა კილაძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. მიმწოდებელი შემსყიდველს მის საკუთრებაში არსებულ საკონტროლო სალარო აპარატზე daizy e.Expert, DY00012333 უწევს შემდეგ მომსახურებას (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი") წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:
ა) უცვლის 1 (ერთი) ცალ ადაპტერს (დამტენს);
ბ) უცვლის რეგისტრირებულ მისამართს;
1.2 შესყიდვის ობიექტის CPV50311000.

2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება
2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 104 (ასოთხი) ლარს., მათ შორის, მათ შორის ადაპტერის ღირებულებაა 75.00 (სამოცდათხუთმეტი) ლარი, ხოლო მისამართის ცვლილება 29,00 (ოცდაცხრა) ლარი.
2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქონლის (მომსახურების) მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3. საქონლის ხარისხი
3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში.

4. საქონლის მიღება - ჩაბარების წესი
4.1 თუ შესყიდვის ობიექტი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, მაშინ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის თანამშრომელი თათია ყურაშვილი პ/№-10001062769**
4.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5. საქონლის მიწოდების ადგილი
5.1. საქონლის (მომსახურების) მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის სერვის ცენტ**რში ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45.**

6. შემსყიდველის ძირითადი უფლება-მოვალეობანი
6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
6.1.2. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ინფორმაცია საქონლის შესახებ.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

7. მიმწოდებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი
7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:
7.1.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან საქონლის ღირებულების დროული გადახდა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
7.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.2.1. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
7.2.2. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
8.1 შემსყიდველი ვალდებულია სრულად ან დროულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს, მიწოდებული საქონლის ღირებულება (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად).

8.2 ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. მხარეთა ხელმოწერები:

მიმწოდებელი:	შემსყიდველი:
შ.პ.ს. „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“ ს/კ: 406049823 იურიდიული მისამართი: შავთელის ქ. 13, (ნაკვ. 33/1) ტელ: 032 2 500-111 სს "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCGE22, ა/№ GE70TB7114436080100001 ელ. ფოსტა info@gsn.com ---------- წარმომადგენელი: გიორგი წაქაძე	„ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი ს/კოდი 404945164 მისამართი. თბილისი, ქავთარაძეს 21ა თიბისი ბანკი TBCBGE22 ა/ა GE75TB7810436020100002 ---------- დირექტორი: ლაშა კიდაძე

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№141; 25,06,2018წ.) ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ი.ყარაულაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი) ნ. ჭეიშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსი) ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№141; 25,06,2018წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები) შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკ"-თან.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------- /ლ. კილაძე/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი: ---------- /ი. ყარაულაშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსი: ---------- /ნ. ჭეიშვილი/

25,06,2018წ.